

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ფოთის N5 საჯარო სკოლის მე-10 კლასის

მოსწავლე: ირინა ლასარეიშვილი, 16 წლის

მე თინეიჯერი, ახალგაზრდა , ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვარ,16წლის... ოცდამეერთე საუკუნეში, აწ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დავიბადე, გავიზარდე და ვცხოვრობ. ბედნიერი ვარ, რადგან ჩემმა წინაპრებმა სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს იმისთვის, რომ მე დღეს მეცხოვრა თავისუფლად, თავისუფალ ქვეყანაში. ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩემს თაობას არ გამოეყო ის ტანჯვითა და ტკივილით სავსე გზა, რომელიც თავად გაიარეს. ამის მისაღწევად კი ქართველების გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, არამედ პირიქით, ამ პატარა ქვეყანას ყველა მხრიდან, ყოველთვის ძიძგნიდნენ ბუმბერაზი ქვეყნები.

საქართველო, ეს არის მთებსა და მდინარეებში ჩარგული პატარა ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში საკუთარ ისტორიასა და ეროვნებას სისხლის ფასად იცავდა. არასდროს ასვენებდა მტერი, ამ ბეწოსხელა ქვეყანას, ვერასდროს იყოფდა სხვადასხვა გიგანტური სახელმწიფო. სად და ვისთან აღარ უბრძოლია საქართველოს, არ ასვენებდნენ თურქნი და სპარსნი, გამოსცადა მონღოლთა ხვედრი და რუსეთის იმპერიის მძიმე რეჟიმი. ვფიქრობ და მიკვირს, რა ძალამ გააძლებინა ამ უმწეო ქვეყანას ამდენ მტერთან, როდესაც ინგრეოდა დიდი იმპერიებიც კი. თუმცა მივხვდი, ყველაფრის გასაღები ის არის, რომ თავისუფლება ქართველთათვის ყოველთვის ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ სტატუსი, საქართველო ოდითგანვე შეუპოვრად იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, ქართველებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასახული მიზნის ყველა არსებული გზის გამოყენებით ასრულებას.

XIX საუკუნეში რუსეთის პირსისხლიანმა რეჟიმმა საქართველო სისხლისა და ცრემლის ეპოქაში აცხოვრა. ამ დროს ვერავინ ბედავდა ხმის ამოდებას ზედმეტად, არამც თუ სიტყვის თქმას თავისუფლებაზე. ამ დროს დიდი მთაგონება იყო ხალხისთვის ეროვნული მოძარაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია და მისი შეუპოვარი პრინციპები. ბნელ საქართველოში როგორც იქნა ,გამოანათა მზემ 1918 წლის 26 მაისს, თითქოს ეს იყო დასაწყისი რაღაც ახლის, რაღაც

უკეთესის. ამ დღეს წლების დატყვევებული საქართველო გამოაცხადეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ქვეყანა გახალისდა, ხალხმა გაიხარა და ამ დღეს საქართველოს ისტორიის წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თუმცა ბედნიერებამ მხოლოდ სამ წელს გასტანა, 1921 წელს საქართველოში შემოდის წითელი არმია და განათებული საქართველო ბნელ წითელ რეჟიმს ძალად შეჰყავს საბჭოეთში. და ამ დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობა დასამარდა მრავალი წლით.

70 წელი იცხოვრა საქართველომ რკინის ჯებირებსა და ცენზურაში. დაამუწკეს ხალხი და აიძულეს ეფიქრათ ის, რაც რეჟიმის მმართველებს სურდათ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, არ გაჩერებულა ქართველებს მამაცი გული მაინც მიუწევდათ გული თავისუფლებისკენ, თუმცა ამჯერად მალულად, ყოველ დამე ლოცულობდა თითოეული სული საქართველოს ხსნისთვის, თუმცა დაფარულად. ნელ-ნელა ჩნდებოდა და ღვივდებოდა ცეცხლი მწერლებში, სტუდენტებსა და ჩვეულებრივ ადამიანებში, უსამართლობის გრძნობა არ აძლევდათ საშუალებას წყნარად ეცხოვრათ მონობაში, ზუსტად ამიტომ, XX საუკუნეში, როცა საბჭოთა კავშირი ნელ-ნელა იწყებდა დამლას, საქართველო მზად იყო ხმის ამოსაღებად, მზად იყო ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც.

1989 წლის 9 აპრილი, დღე, როცა საქართველო გაერთიანდა უსამართლობის, მონობის და ტანჯვის წინააღმდეგ. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, გაბედეს ის, რასაც ბოლო 70 წლის განმავლობაში ვერც კი გაიფიქრებდნენ, სასტიკი რეჟიმის გამო. ეს დღე განსაკუთრებულია არა მარტო იმიტომ, რომ როგორც იქნა ქართველმა ერმა იპოვა ძალა თავისუფლებისთვის გამოსულიყვნენ, არამედ იმიტომაც, რომ საქართველო ამდენი ხნის შემდეგ გაერთიანდა ერთი აზრის ირგვლივ. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წყურვილით, თავდადებით და შეუპოვრობით იღგა ქართველნი რუსთაველის ქუჩებში და წინ აღუდგა ყველა წინააღმდეგობას. ერი არ შეაშინა არც სიტყვიერმა მუქარამ, არ შეაშინა ასევე გაბოროტებულმა ხელისუფლებამ, რომელიც ტანკებითა ნიჩბებით, მომწამლავი მხუთავი აირის ბალონებით დასდევდა ხალხს და ასაღმებდა სიცოცხლეს. 9 აპრილი ისტორიაში ჩაიწერა, როგორც წითელი, სისხლიანი დღე, რადგან ამ დღეს, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაიღუპნენ ქართველნი, თუმცა, როგორც ჩანს, შედეგი უღირდათ ამაღ. ამ დღეს საქართველომ დაიბრუნა ხმა, ხალხმა არჩევანი და ისტორიამ სიწმინდე.

9 აპრილის შემდეგ გზა არ ყოფილა მარტივი, იყო შიდა ომები, დაპირისპირებები, იმედგაცრუებები, თუმცა რაც ყველაზე მთავარია, საქართველოში თავისუფლება აღარ იყო უბრალოდ იურიდიული აქტი, ეს უკვე სისხლით მოპოვებული წოდება იყო, რომელსაც ქართველი ხალხი ყველაფრის ფასად დაიცავდა.

დღეს ჩვენ დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში ვცხოვრობთ, თუმცა მოუშორებელი მტერი, რომელიც პარაზიტით გვყავს შემოჩვეული, დღესაც არ გვასვენებს. ირიბად ცდილობს რუსეთი წაგვართვას ჩვენთის ყველაზე წმინდა, ჩვენი თავისუფლება, რომელიც დიდი ბრძოლისა და მსხვერპლის შემდეგ როგორც იქნა მოვიპოვეთ. სადღეისოდაც უწევს ქართველ ხალხს საქართველოს დაცვა, სამწუხარო კი ის არის, რომ თავის დაცვა გვიწევს როგორც რუსეთისგან, ასევე ჩვენი ქვეყნის მმართველებისგანაც. სამწუხაროდ ყველა ვერ სწავლობს წარსულისგან და ვერ ხვდება თავისუფლების ფასს. ალბათ მართალია ისიც, რომ სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდის ადამიანი იმას, რაც ჩვენმა წინაპრებმა გამოიარეს, მანამ ვიქნებით ასე, ორ ნაწილად გახლეჩილები.

და ბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობა არ იყო უბრალოდ პოლიტიკური მიზანი, რომელსაც ტრაგედიები მოჰყვა, არამედ ეს იყო მრავალსაუკოვანი ღვაწლი, რომელმაც საბოლოოდ მაინც გამოიღო შედეგი. მართალია ,იყო სისხლი, იყო ცრემლი, იყო მსხვერპლი, მაგრამ თუ იწყებ ომს და თუ მიზნად გაქვს დასახული ამ ომის მოგება, უნდა გქონდეს გათვითცნობიერებული, რომ ომს ყოველთვის მოსდევს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთაგანი. ზუსტად ამიტომ ვთვლი ვალდებული ვარ თავს, რომ არასდროს ვიყო ჩუმად, ყოველთვის ამოვიდო ხმა ჩემი უფლებებისთვის და თავისუფლებისთვის. ჩემმა წინაპარმა თავი გასწირა ამისთვის, მე კი ახლა ერთადერთი ვალდებულება მაქვს, დავიცვა ეს სიწმინდე, ყველაფრის ფასად.იმედი მაქვს,მოკლედ,მაგრამ საინტერესოდ გადმოვეცი ის,რასაც ალბათ ყოველი ჩემი ევროპელი თანატოლი გულისყურით მოუსმენდა...მჯერა,საყურადღებოს შენც იპოვი,გამიგებ,მიმიხვდები...რადგან ჩვენ ერთი დედამიწის ,ერთი ევროპის შვილები ვართ.

The student of LPL public school Poti N5 named by Ilia Chavchavadze: Irina Lasareishvili,

Grade X, age16

I am a teenager—just sixteen years old—a student still navigating the corridors of school. I was born, raised, and now live in independent Georgia, in the heart of the 21st century. I consider myself fortunate, for the freedom I enjoy today was not handed to me lightly. It was hard-won—paid for with the blood and sacrifice of my ancestors who fought until their last breath to secure a future free from tyranny and oppression. They endured unimaginable hardships to ensure that my generation would not have to walk the same path of pain and struggle.

Yet, Georgia's road to freedom was never lined with roses. This small country, nestled among mountains and rivers, has long stood as a battleground for empires. Time and again, it was torn apart by powerful states seeking to dominate its spirit. And still, Georgia endured.

Despite its size, Georgia has been a fierce defender of its identity and history—often at the cost of immense suffering. The nation has battled against the Turks, the Persians, endured the brutality of Mongol invasions, and withstood the heavy hand of the Russian Empire. At times, I wonder: what allowed this seemingly fragile land to outlast even the mightiest empires? Over time, I've come to understand that for Georgians, freedom has never merely been a political status—it has been a sacred, inviolable truth. Independence is not just an aspiration but a birthright, and Georgians have always been prepared to pursue it at any cost.

In the 19th century, Georgia fell under the iron grip of the Russian Empire, plunging into an era of silence and repression. Fear muzzled every voice. In those dark days, the national consciousness found a flicker of hope in figures like Zviad Gamsakhurdia, whose unwavering ideals inspired resistance. Then, in 1918, came a moment of sunrise: on May 26th, Georgia was declared an independent republic. Joy swept

the nation, and that date became etched into our collective memory. But the freedom was short-lived. In 1921, the Red Army invaded, and Georgia was pulled into the shadow of the Soviet regime, where its independence was buried once again.

For 70 years, Georgia existed behind iron curtains, shackled by censorship and fear. Yet, the Georgian spirit remained unbroken. Beneath the surface, the longing for freedom never faded—it merely grew quieter, more patient. In whispers and in dreams, people prayed for the day their nation would rise again. The fire was reignited—first among writers, students, and ordinary citizens. Injustice had robbed them of peace, but not of resolve.

Then came April 9th, 1989—a turning point that would forever change the course of Georgian history. On that day, thousands gathered to defy the silence and resist the regime. After decades of repression, the people stood together on Rustaveli Avenue, united in defiance and driven by an unyielding thirst for liberty. They faced down tanks, gas canisters, and batons with nothing but courage. The cost was unspeakable: many lost their lives. But in that moment of tragedy, something sacred was reclaimed—Georgia found its voice again, its people rediscovered their power, and history was revived with dignity.

The path forward remained difficult. Internal strife, political fragmentation, and disillusionment followed. But something fundamental had changed: freedom was no longer a distant dream or a bureaucratic term. It had become a sacred title—earned, not granted. And Georgians, having paid the ultimate price for it, were prepared to defend it with everything they had.

Today, we live in an independent, free Georgia. Yet an insidious enemy, one we've grown accustomed to like a parasite, continues to haunt us. Russia, though indirectly, still seeks to strip us of what is most sacred—our freedom—hard-won through great struggle and sacrifice. Even now, the Georgian people must defend their country, and tragically, that defense is not only against Russia but also against those who govern our own land.

Sadly, not everyone learns from the past or fully understands the price of freedom. Perhaps it is true that until a person experiences firsthand what our ancestors endured, we will remain as we are—divided, torn in two.

Georgia's independence is not merely a political achievement; it is the culmination of centuries of struggle, tears, and sacrifice. Yes, there was suffering. Yes, there was blood. But to wage a fight for freedom is to understand that these are the inevitable companions of victory.

That is why I feel a deep sense of responsibility—to never remain silent, to always raise my voice for what is just, and to stand firm in defense of liberty. My ancestors gave their lives so that I could live freely; now it is my duty to honor that gift by protecting it with unwavering resolve.

I hope I have managed to convey—clearly yet meaningfully—a glimpse into what freedom means to me and to my country. I trust that every young person in Europe who hears this will understand. Because ultimately, we are all children of the same Earth, and of the same Europe.